№ 127. 20 ივნისი, შაბათი. 1866 — 1881 20 ივნისი, შაბათი. № 127.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე, ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროება“-„ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხელაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

ბიბლიოთეკა

უმდაბლესად გსთხოვთ ყველას, ვინც კი რამე იცოდეს ან გაგონებით, ან წერილობით სოლომონ ლეონიძის (მეფე ერეკლეს მდივნის) შესახებ, დაგვაგვალოს და ის ცნობები „დროების“ რედაქციაში გამოგვიგზავნოს.

აკაკი

არწრუნის თეატრში
დღეს, 20 ივნისს
ბენეფისი
ტრუპპის ადმინისტრატორის
## ად. ჩუბინოვისა
ქართული დრამატიული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქმნება:

I
## ორ ცეცხლ-შუა
დრამა 3 მოქმედ. ემილ დე-ჟირარდენის, თარგმ. ი. მაჩაბლისა.

II
თამარ ბატონიშვილი
მეოთხე მოქმედება (საპატიმრო).

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში და „ივერიის“ თამბაქოს მაღაზიაში.

დასაწყისი $8^{1}/_{2}$ საათზე.

# ტელეგრამმები

(„სანკტ-პეტერბურგის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურგი, 18 ივნისს. გუშინ ხელმწიფე იმპერატორს გამოეცხადნენ თეკელები: ავიზ-ყული სარდარი და ყულ-ბატირი; პირველმა მოართვა იმპერატორს თავის ხრმალი და თან მოახსენა, რომ ამ ხრმალთან ჩემს სიცოცხლესაც შენ მოგანდობო.

იმპერატორმა რამდენიმე სიტყვა უთხრა ამათ და ოქროს საათები აჩუქა მეწვკით. დღეს ყველა თეკელები თავიანთ ქვეყანაში მიდიან.

სტამბოლი, 17 ივნისს. ოსმალოს ოთხი სამხედრო ხომალდი კრიტის კუნძულისაკენ წავიდა იმ განზრახვით, რომ აქედამ ტრიპოლში გაემგზავრონ. უკანასკნელს პირობას საბერძნეთსა და ოსმალეთს შუა პარასკევს ან შაბათს მოაწერენ ხელს.

პეტერბურგის ბირჟა, 18 ივნისს.

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 96 — | „ |
| მეორესი — — — — | 94 — | 37 |
| მესამესი — — — — | 94 — | 50 |
| მეოთხესი — — — | 94 — | 50 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 92 — | 87 |
| აღმოსავლეთის მეორე | 92 — | 87 |
| აღმოსავლეთის მესამე | 92 — | 57 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8 — | 5 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 227 — | 50 |
| მეორე სესხის — — — | 220 — | 50 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — — | 24 — | 59 | პენსი |
| ბერლინი — — | 123 — | „ | პფენიგი |
| ჰამბურგი — — | 210 — | „ | ცენტი |
| პარიჟი — — — | 260 — | 50 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი — — — | | | |

## ახალი ამბები.

ამ 15 ივნისს იყო ამ ზაფხულის უკანასკნელი სხდომა ჩვენის ქალაქის რჩევისა. შემდეგ სხდომები ხელ-ახლად დაიწყება შემოდგომაზედ.

ამ უკანასკნელს სხდომაზე რჩევამ სხვათა შორის გარდაწყვიტა 400 მანეთის შეწევნის მიცემა იმ ღარიბ ყმაწვილ-კაცებისათვის, რომელთაც თფილისის რეალურ სასწავლებელში შეასრულეს წელს სწავლა და უმაღლესს სასწავლებელში წასვლას აპირებენ.

***

გამოვიდა და ურიგდება ხელის-მომწერლებს ჟურნალი „იმედი“, № 5. შინაარსი წიგნისა არის: I მე და ონისიმე, მოთხრობა მიხ. ასათიანისა II დროება, ლექსი ლ. რ-ზ-კ- ისა, III * * *, ლექსი ს. ნასიძისა, IV ჩემი აღსარება, კ. მაჭავარიანისა, V ომარ და სელმა, ჩერქეზული მოთხრობა, იმისივე. VI გაზაფხული, ლექსი მიხ. ასათიანისა, VII წინასწარმეტყველი, ლექსი. ლ. რ-ზ-კ-ლისა, VIII გლეხის დიდინი, ლექსი მეტეხელი გლეხის ალექსა მირზაშვილისა, IX ჩვენი სასოფლო სკოლები, გადალმელისა, X მიწამამული და შედეგი მის მალის დაკარგვისა * * *-სა, XI თავიდგან თუ ბოლოდგან (შენიშვნები ჩვენი სტუდენტობის მიმართულებაზედ და მოვალეობაზედ) გრ. ყიფშიძისა, XII შინაური მიმოხილვა მიხ. გურგენიძისა და XIII რედაქციისაგან.

წიგნის ბოლოს რედაქცია აცხადებს, რომ, ზოგიერთ პირებისაგან გავრცელებული ხმები ჟურნალის მოსპობაზე უსაფუძვლო ხმებიაო. რედაქცია არც სხვის ხელში გადაცემას აპირებს ჟურნალისასა და არც მოსპობასაო.

***

ბექათუბნის საზოგადოების სოფ. ბაბის ერთი მცხოვრებთაგანი გლეხი გვწერს, რომ ეს ცხრა თვე იქნება, რაც ბლაღოჩინმა მ. დ-ძემ ჩვენი სოფლის მღვდელი სხვა მრევლში გარდაიყვანა და მას აქეთ მხოლოთ ერთხელ, აღდგომა დღეს, წირვაო, თორემ წირვა-ლოცვასაც, ზიარებასაც, ნათლობასაც და სხვა ყველა საეკკლესიო მოქმედებას მოკლებული ვართო.

ბ. ბლაღოჩინი მღვდლის ხვედრ გადასახადს, კომლზე ორ მანეთს მაინც აგროვებს და კაცმა არ იცის-ვისთვის და რისთვისო.

***

ჩვენ შევიტყვეთ, რომ იმ „სეირნობიდამ“, რომელიც გავლილ კვირას იყო ალექსანდროვის ბაღში გამართული, უპატრონო ბავშების თავშესაფარ სახლის (პრიუტის) სასარგებლოდ, შემოსულა სულ 2,464 მან. ზასავალი-კი ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილიო.

***

«დროების» ფელეტონი, 20 ივნისს.

## ელგუჯა

(მოთხრობა*)

დარიალის ვიწროებში, სადაც ეხლა მშვენიერი გზატკეცილი მიდის და შავ-კლდეებს შუა გველსავით იკლაკნება, უწინ მარტოკა ბილიკები იყო, რომელზედაც ცხენების ქარავნები ძლივს დადიოდა. ეს გზა მოდიოდა ჩრდილოეთ კავკასიიდგან საქართველოში ჯერ ვიწრო ლარსის ხეობაზედ, მაგრამ რაკი დარიალის კლდეებს მოადგებოდა, იქ კლდე იყო გახვრეტილი, გზა ქანქანით გაყვანილი, რომლის სათავეშიაც მოხევეების ყარაულები იდგნენ და იცავდნენ საქართველოს დაუპატიჟებელ სტუმრებისაგან.

ერთს ცივს ღამეს, როდესაც ნისლს მოებურა და უფრო მომეტებულად დაებნელებინა იქაურობა, ამ ქანქანის ნაპირას გაეჩაღებინათ ცეცხლი რამდენიმე ყარაულს და გარს შემოსხდომოდნენ. იქვე დეერთოთ ნადირის (ჯიხვის) მწვადები და ვახშმის მომზადებას ელოდნენ.

ამ დროს მოისმა ცხენის ფეხის ხმა. ყარაულებმა დაავლეს თოფებს ხელი, ერთს მინუტში ჩაესაფრნენ გზის აქეთ იქით მყოფს ქვებს უკან. ეს ისე სწრაფად და ჩუმად მოხდა, რომ კაცი ვერ გაიგებდა იმათ მოძრაობას და გულდანდობილი მგზავრი ადვილად ჩაუვარდებოდა ხელში....

გაიარა რამდენიმე წუთმა ამ მდგომარეობაში, როდესაც ერთი ცხენოსანი გამოჩნდა და გულადათ შემოვიდა ჩასაფრებულების შუაში. აქამდისინ ჩუმი ყარაულები, რომელთაც თოფები გადმოეშვირათ ქვებზედ და თითონაც გაქვავებულს სურათებს დამგზავსებოდნენ, ერთბაშათ წამოცვივდნენ და ცხენოსანს გარს შემოერტყნენ.

— ვინა ხარ? ჰკითხა ერთმა ყარაულთაგანმა.

— მე ოსი მახამეთა, სენი წირიმე! მიუგო ცხენოსანმა...

— საიდგან, ან სად მიხვალ?

— სოფიკა სვილთან... მე იმის სტუმარი ხარ.

— მაგ ნაბადში რაღა გაქვს გახვეული? ჰკითხა ისევ იმ ყარაულმა, რომელმაც ცხენოსანს უნაგირზე გარდიგარდმო გადებული, ნაბადში შეხვეული, რაღაც შეამჩნივა.

— ეს ქალია სენი წირიმე, ესეც იმასთან მიგყავს.

— სად გინადირნია, სად?... ჰკითხა ღიმილით.

— ჩერქეზიდგან მოიტაცე. იცრუა ოსმა ჩვეულებრივ.

— აი, შენი ხენცელაის მადლი კი გამიწყრეს!.... დაცინვით გაიკმათა მოხევემ.

— სენმა მზემ ცერქეზიდგან.

— კარგია-ლა, ვიცი, ჩე!... არ გიცნობ რაიცა ხარ? ემანდ სულონანთ (ოსის მებატონეები) იყიდიდა, აქ კი იმას იძახი ჩერქეზში მოვიტაცეო.

— არა, ცემა მზემ.

— კარგია, კარგი! მკაცრად გააწყვეტინა სიტყვა მოლაპარაკე ყარაულმა და გაუბრუნდა თავის ამხანაგებს.

— აბა, ღმერთს არ მოეტყუება, რომ ეს ჩერქეზში ვერ გავიდოდა.

— ოსი არაა, შენაი ჭირაიმე, ჩერგეზში საიდ გავიდოდა? უპასუხა ერთმა.

— რაი არიან ოსები?... კატები არიან ცხო რაი?

— ელგუჯა! წამოიძახა ისევ იმ ყარაულმა, რომელმაც პირველათ დაუწყო მახამეთას ლაპარაკი და რომელიც თაობდა იმათში.

— რაი გინდა?

— წადი, წაჰყევ ემასა, მიიყვანე ჩოფიკიანთასა და თუ აქ მოგვატყუა, ძაღლსავით მოკალ და გადააგდე.

— აგრე.

— გზაზე თუ გაქცევა დააპირა, მაშინაც არ დაინდო.

— აგრე! იყო ისევ პასუხი.

ელგუჯა იყო ყმაწვილი 22 წლისა, ტანადი წამოსადეგი. ხევში განთქმული იყო თავის ვაჟკაცობით, და „ქამანდრობით“ *). ამასთან, როგორც მომეტებული წილი მოხევეებისა, გულწრფელი და საიმედო. ელ-

*) იხ. „დროება“ № 125.

*) ქამანდარი-გარგათ მსროლელი.

Იგივე პირები, რომელთაც გაუშვეს კვირას გამართეს ზემოხსენებული „სეირნობა“, მომავალ კვირას, 21-ს, კიდევ აპირებენ ამგვარისავე სეირნობის გამართვას სხვა-და-სხვა ახალ სურათებით.

ჩვენ გვითხრეს, რომ ის უწესოება, რომელიც წარსულ კვირას ყოფილა, მომავალს „სეირნობაზე“ არ იქნება, რადგან გამგე პირთ ყოველი საშუალება უხმარიათ, რომ უბილეთო ხალხი არ შემოუშვან ბაღში და ყველა თავ თავის ადგილზე დაჯდნენ. Ის უწესოება, რომელიც გაუშვეს კვირას მოხდა, სულ იმისაგან წარმოსდგა, რომ ხალხმა ბარიერები ჩაამტვრიეს, მოაჯირზე გადმოხტნენ და უბილეთოდ შემოვიდნენო; ახლა კი უფრო მკაცრი ყურადღება იქნება მიქცეული და ამგვარი უწესოება აღარ მოხდებაო.

* * *

ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში ცალკე ბროშურად გამოცემული „წესდებულება ქართულის დრამატიულ საზოგადოებისა“, რომელიც წიგნის მაღაზიებში ორ შაურად ისყიდება. Ეს წესდება ქართულად და რუსულად არის დაბეჭდილი.

* * *

Დღეს, შაბათს, Არწრუნის თეატრში პირველად წარმოდგენილი იქმნება ქართული დრამმატიული ტრუპპისაგან, ტრუპპის გამგებელის ა. ჩუბინოვის სასარგებლოდ, ფრანცუზულიდამ გადმოღებული სამ-მოქმედებიანი დრამმა „Ორ ცეცხლ-შუა“ და მეოთხე მოქმედება „Თამარ ბატონიშვილიდამ“. Იმედია საზოგადოება დააფასებს გამგებლის შრომას.

---

## „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

**ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘ**, 15 ივნისი. Აი ზოგიერთა ჩვენებური ამბები: Ამას წინეთ ერთმა გურულმა ავაზაკი თათარი მოჰკლა; ავაზაკის ამხანაგებმა წაიღეს მისი გვამი და მათ სასაფლაოშიდ დაასაფლავეს. Ამის სამაგიეროთ, სხვა ზარალს გარდა, ერთი Ლახურელი ბიჭი მოიტაცეს ავაზაკის ამხანაგებმა; მოტაცებული ბიჭი—მომკვლელის ნათესავი—წაიყვანეს და საცა თათარი იყო დასაფლავებული იქ დაჰკლეს და იქვე დაასაფლავეს. Ამ უკანასკნელ დროს დაესწრო მოკლული თათრის დედის ნაცვალი, მაგრამ ამ მსხვერპლით ის კმაყოფილი არ გახდა თუ მეორეს მოიყვანთ და დააკლამთ აქ სასაფლაოზედ მაშინ კი ცხონდება ჩემი გერიო. Თათრებს ერთიც დაჭერილი Ლეხაურელი ბიჭი კიდევ ყავთ და შემოუთვლიათ. Ჭირის უფლებისათვის: თუ 200 მანეთს გამოგვიგზავნი დაგიხსნითო, ვაუგზავნეს 150 მანეთი, მაგრამ ჯერ არც ტყვეთ მოტაცებული სჩანს და არც ფულის წამღები.

Ლეხაურის მცხოვრებთ აზნაურთა Თაყაიშვილებთ თავიანთ ტყეში ბზის ხეები აქვთ დაჭრილი და ეხლაც სჭრიან, ამ ტყეში, როგორც ამბობენ ქობულეთიდგან თუ სხვა სოფლიდგან შეყრილნი ვიდრე 60 კაცამდე ფირალები არიან. Თათრებს რამდენიმე მოჭრილი ბზის ხე დაუწვავთ და მუშები გადმოურეკიათ, ეს მუშები მეც ვნახე—და ამასთან შემოუთვლიათ Თაყაიშვილებისათვის თუმც 200 მანეთს არ გამოგვიგზავნი ყველა ბზის ხეებს დავსჭრით და დავწვავთო. Ამ გვარი ავაზაკობის მოსასპობლად Ოზურგეთის უეზდის უფროს ჰყავდა გამოთხოვილი ერთი სოტნა ქვეითი დრუჟინა და სხვა ზომაც ჰქონდა მიღებული, ზოგს იჭერდნენ ზოგნი შიშით სოფლად ვერ შემოდიოდნენ, მაგრამ, საუბედუროთ, ის სოტნაც წაიყვანეს ქობულეთში და, რასაკვირველია, აწი უარესობას უნდა მოველოდეთ. Სხვა საშუალებებს გარდა, ჩვენმა უეზდის უფროსმა თავის თანაშემწის თ. Ნაკაშიძის შემწეობით, შეკრებილი აზრები წარუდგინეს ბათომის ოკრუღის ნაჩალნიკს და სთხოვეს, წინანდელ სამზღვარზედ ჩოლოქის პირათ მოსულიყო მოსალაპარაკებლად, რომ ეს შემდგარი შაიკა თათრის ავაზაკებისა მოესპოთ. 14 ამ ივნისს მოვიდა, ჩოლოქის პირზედ, ბათუმის ოკრუღის ნაჩალნიკი ერთად ქობულეთის უჩასტკოვის ნაჩალნიკით და რამდენიმე ჯარით. Აქედგან მივიდა უფროსი თანაშემწე უეზდის ნაჩალნიკისა თ. ა. Ლ. Ნაკაშიძე, ს. Ლეხურის საზოგადოებით და რამდენიმე სხვა პირებით. Ნაჩალნიკები სიამოვნებით შეიყარნენ და რამდენიმე მინუტი საიდუმლოთ მოილაპარაკეს; შემდგომ ყველა მცხოვრებლები მოიწოდეს და ორნივე მხარემ გამოუცხადეს საზოგადოებას, რომ უმაღლეს მართებლობას აქვს ზომა მიღებული და, რაც შეიძლება, ჩვენც ვეცდებით ავაზაკების მოსპობას და თქვენს მშვიდობიანათ ცხოვრებასო; ამასთან თ. Ნაკაშიძე უცხადებს ჩოლოქის მახლობლების მცხოვრებლებს, რომ თქვენც უნდა მოგვცეთ შემწეობა მით, რომ თქვენგან ნურავინ ნუ მიიღებთ ავაზაკებს, ნურც შესანახავთ, ნურც ღამის გასათევათ და ნურც აძლევთ საზრდოს, თუ რომელიმე თქვენგან გვაცნობებთ სად ცხოვრებენ ისინი, ჩვენ მივიღებთ ზომას მოკვლისას და დაჭერისას. Სამწუხაროთ ბათუმის ნაჩალნიკი ბაში-ბეუქ მელიქოვი ავს და კარგს არ არჩევს; ის აძლევს ბილეთს ვინც კი სთხოვს; ბილეთიანი გამოდის გაღმა, იმალება და ავაზაკობს. Ამ ყრილობაში თათრებიც ბევრი იყო; ზოგი მათგანი ამბობდა: კარგი ნაჩალნიკი რომ ყოლოდა ქობულეთს, ამდენი არეულობა არ იქნებოდა. Მართლა უნდა მოგახსენო, ბატონს ბ. მ—ქოვს ისეთი შეხედულობა აქვს, რომ თათრები მასთან საქმეს ძნელად დაიჭერს, მათთვის საჭირო არის ღმობიერი, კარგი შესაყარი და ტკბილი კაცი; ამისთანა კაცი იმათ მოიხმარს... Აი რა თქვეს თათრებმა მათზედ: Ამას წინეთ სოფელში წასულა; თათრების ხოჯა ყმაწვილებს ასწავლიდა და თურმე არ მოეგება. Ამაზედ დიდათ გაუწყრა, როგორ თუ არ მომეგებე და თაყვანი არ მეციო. Ხოჯამ ჩემი საქმე არ არისო და ისე გაკუჭდა, რომ ქვეით წასვლა მოინდომა საძღვარს გარეთ. Ეს რომ ხოჯასაგან გაიგონეს, უფრო არეულ-დარეულობა მოხდა. Ახლა დიდი იმედი გვაქვს ბათუმის ღუბერნატორისა. Ამისთანა კაცი, რომ უწინდელი ყოფილიყო, ჩვენი საქმე კარგათ წავიდოდა და არავინ არ წავიდოდა სამზღვარს იქეთ. Ვინც გაიგონა ამისი კაი კაცობა ისევ უკან დაბრუნდნენ. Ძალიან გამოსადეგი კაცია ეგრეთვე ოკრუღის ნაჩალნიკი სტეფანოვი, რომელთანაც დიდათ მიწყობილნი ვართ. Ამ დროზედ უფროსმა კაცებმა წასვლა მოინდომეს; ერთი მეორეს გამოეთხოვეს, ჯარები გაიყარნენ არა ნაკლებ 600 კაცისა. Რაც გამოაცხადეს ეს იყო და დანარჩენი განკარგულებისთვის აწი გვექნება იმედი, რომ ორნივ მხარენი მონდომებულნი არიან მშვიდობიანობისთვის. Იმედი გვაქვს ის შეყრილი შაიკა ავაზაკებისა რომელიც, Ლეხოურის მთებზედ, ჩოლოქს იქით და აქეთ,

---

გუჯამ გაიდო თოფი მხარზე და შესძახა მახამეთას:

— Იარე!

Მახამეთამ გასწია წინა, Ელგუჯა კი მიჰყვა უკან სიფთხილით, რომ სიტყვით-სიტყვამდე ნამდვილათ შეესრულებინა თავისი უფროსის ბძანება. Იმ დროს ღმერთსაც ნუ ექნა რომ მახამეთას ოდნათაც არის ცხენი გაებრუნებინა და გადაეყენებინა გზის იქით,—Ელგუჯა იმას ძაღლსავით მოჰკლავდა და გადააგდებდა.

Ამ გვარად მიდიოდნენ ისინი, ჩუმათ, ხმა გაკმენდილები, მახამეთა დარწმუნებული, რომ მცველს თვალი ფთხილათ უჭირავს და მცველი კი დარწმუნებული, რომ თუ მახამეთამ გაბედა რამე, მაშინ იმის ტყვიას შორს ვერ წაუვა და თუნდაც რომელისამე მიზეზით ტყვია დასცდენოდა და მახამეთას გაქცევა მოეწადინა, მაშინ მაინც ადვილათ წინ მოექცეოდა Ელგუჯა, რადგანაც ის ქვეითი იყო, და საქვეითო ბილიკი ერთი ოთხად ამოკლებდა ცხენისთვის მიხვეულ-მოხვეულ გზას.

Მიაღწიეს სოფელს სტეფანწმინდას და მივიდნენ პირ-და-პირ ზაგი ჩოფიკაშვილის კარებზედ, სადაც Ელგუჯა წადგა წინ და ხმა მაღლა დაიძახა:

— Ზაგი!... ჰა, Ზაგიიი!... Ზაგი!

Ამ სიტყვებზედ თოფი გადმოეშვირა დერეფანზედ საფრათ გაკეთებულის კედლიდან და მოისმა ხმა:

— Ვინაა მანდ, ვინ ჰკივის?

— Მე ვარ, Ელგუჯაი.

— Რაი ამბოვია, ამ შუაღამისას?

— Აი ერთი კატაი მოვიყვანე, თქვა Ელგუჯამა და გახედა ოსს.

— Მარტოა?

— Არა... ქალაი რამე ჰყავს.

Ზაგი წყნარა გაბრუნდა, გაალვიძა ბიჭები, რომლებიც იმის ძახილზედ შეიარაღებულები გაშიშვლებულის თოფებით გამოვიდნენ.

Ეს დრო ის დრო იყო, როდესაც საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ შედიოდა და მაშასადამე დრო არეულობისა და მუდამ ბრძოლისა, ამ ფარველობის ქვეშ შესვლის მსურველთა და მოწინააღმდეგეთ შუა. Ამიტომ, რასაკვირველია, უიარაღოთ არავინ დადიოდა.

— Ონისე, გადი-და, გახედე!.. სტუმარი სასტუმროში შეიყვანე, ტყვე რომ მოუყვანია, ის-კი დედაკაცებს მიაბარე... Იცოდნენ, თუ გაქცეულა, თავიანთი თოლების მეტი აღარა იხსნის-რა.

Ონისემ გასწია ბრძანების აღსასრულებლათ, მაგრამ Ზაგიმ ისევ შეაყენა, რაღაცა წაიბუტბუტა და ხმამაღლა დაუმატა:

— Მოიცა, მე თითონაც ჩამოვალ.

Ზაგიმ მაშინვე იცნო მახამეთა, რომელთანაც არა ერთხელ ჰქონია ამ გვარი ვაჭრობა, ამისათვისაც ისინი ერთმანერთს მიესალმნენ, ჩამოართვეს ხელი და ტკბილად დაიწყეს ლაპარაკი.

Მახამეთა გამოუტყდა, რომ ეს ქალი ჩერქეზი არის, და ერთს ქისტს მოეყვანა ოსებში გასაყიდათ, სადაც მახამეთა შეხვდა და Ზაგისთვის იყიდა. Ამ სიტყვებს დაუმატა ქალის ქება, რომელიც ტანადობით ისარს ემგზავსება და ტუჩები ახლად გადაშლილს ვარდს მიუგავს.

Ზაგიმ ქალს მოხადა ყაბალახი, მიუახლოვდა პირისახესთან და მუშტრის თვალით დაუწყო შინჯვა.

— Მართლა ლამაზი უნდა იყოს! წარმოსთქვა იმან ბოლოს და გაუბრუნდა Ელგუჯას:—

— Შენ მაინც დალალული ხარ, ეგ ქალი ამ საწოლში შეაგდე და შენც გარეთ მოუწექ ამაღამა... Კარის გადმორაზა-კი არ დაგავიწყდეს.

Ელგუჯამ ქალი წაიყვანა, Ზაგი-კი მახამეთას გაუძღვა სასტუმროში, სადაც უნდოდა ძვირფასის სტუმრისთვის თავი მოექონა, რათა ცოტაც არის უფრო იაფათ დაესვა ახლათ მოყვანილი ქალი.

Ელგუჯამ მიიყვანა ქალი „საწოლაში“, აუნთო ჩირაღი და რა შეხედა ქალსა, გაშტერებული დარჩა. Იმის თვალს წარმოუდგა ისეთი მშვენიერი, მიმზიდავი თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ქალი, რომელმაც მოულოდნელათ გული აუცახცახა და ძარღვებში სისხლი აუდუღა. Რასა შვრებოდა, სად იყო—იმას სრულებით გარდაავიწყდა, ის შეეპყრო მარტო ერთს სურვილს, რომ ასე განუწყვეტლივ ეყურებინა ამ ქალის მშვენიერებისათვის და დამტკბარიყო იმ გრძნობით, რომელსაც პირველად გაეღვიძა იმის გულში. Ქალი-კი იდგა ფერ-მიხდილი, დაღონებული, თვალებ-დაშვებული და გატაცებული რაღაცა ღრმა ფიქრით.

ბუდობენ, მოისპობა და იქნება მშვიდობიანობა.

გურული.

## წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! არა-ერთხელ იყო პატივცემულ გაზ. „დროებაში“ გამოცხადებული ახალ-სენაკში წარმოდგენილ ქართულ წარმოდგენიდამ შემოსულ ფულების თაობაზე.

ერთში ეწერა: არ ვიცით ბ. ზ. ბებურიშვილმა რა უქნა, სად გაგზავნა ეს ფულებიო. მეორეში ერთი ქართული სცენის მოყვარეთაგანი ეჭვნეულად სწერდა: მგონი შეკრიბეს მოთავეებმა წარმოდგენიდამ შემოსული ფულებიო და სხ. საუბედუროთ, სუყველა ამ გვარი ნაწერები დღემდინ დარჩა—„ხმა მღაღადებელად უდაბნოსა შინა“.

ერთი ბოლონდელი კორრესპოდენცია წაიკითხეს თითონ ბ. ზ. ბ—ის გასაგონად ქუთაისში, სადაც იმ შემთხვევაში იყო შეკრებილი ჩვენი თავად-აზნაურობა, სააზნაურო ბანკის შესახებ. შემდეგ კორრესპონდენციის წაკითხვისა, ბევრმა მათგანმა დაიწყო ლაპარაკი ამ ფულის შექმის თაობაზე, რადგანაც ბევრმა იცოდნენ, რომ იმ ფულების დანიშნულება იყო ქველ-მოქმედებითი საქმეებისთვის დახმარება, რომელიც იყო გამოცხადებული გაზ. „დროებაში“ და „კავკაზშიაც“. ზოგიერთმა იქ მაყურებელთაგანმა პირ-და-პირ გააგონეს ბ. ზ. ბ—ს: „რა პატიოსნობაა საზოგადო ფულების ჩაკვრეხა, რათ უნდა ჰქნას კაცმა ამ გვარი უპატიოსნო და საქვეყნოთ გასაკიცხავი საქმეო და სხვ.

შემდეგ ამ გვარი სიტყვების გაგონებისა ბ. ზ. ბ—ლმა უცბათ გაიკრა ჯიბეს ხელი ფოშტის კვიტანციის საჩვენებლად და დასამტკიცებლად იმისა, რომ მან გაუგზავნა ერთ სტუდენტს თოფურიას ას-ოცი მანეთი. საუბედუროდ, მე ვერ ველირსე იმ ბარათის შეხედვას.

დანარჩენი ფულები, ბრძანა მან, ახალ-სენაკის ნორმალური სკოლის სასარგებლოდ იყო დანიშნულიო და კიდევაც მივეცით თავისი დანიშნულების გზა, მე გადავეცი დ. ახალ-სენაკის დეპუტატს, რომ იმას სკოლაში შეეტანა და, კიდეც არის გადაცემულიო.

უნდა გამოგიტყდეთ, ჯერ ამ უკანასკნელ იმის მოქმედებაშიაც რაღაც ეჭვი მაქვს სიმართლისა; ვიღაც დეპუტატისთვის არ გადაეცა ფულები, სკოლაში გასაგზავნათ, განა თითონ ბ. ბ—ეს არ შეეძლო გადაცემა. ნუ თუ ფულების გადაცემა ისე ძნელი იყო, განა ქაღალდით არ შეეძლო ფულების სკოლის ზედამხედველისთვის ჩაებარებინა? თუ ბ. დეპუტატს აქვს მიღებული ფულები სკოლაში შესატანად, რატომ არ გადასცემს, ვისაც ჯერ არსს? ნუ თუ დრო არ არის გაგზავნისა, ან ვადა აქვს დათქმული, რომ იმის მიზეზით საზოგადო ფულებს აჩერებს?

შეიძლება ბ. დეპუტატმა სკოლის მაგიერათ ამ ფულებს სხვა გზა მისცა,—ვინ უნდა იყოს პასუხის მგებელი ამ შემთხვევაში, თუ არ ბ. ზ. ბებურიშვილი და ერთი ნესტან-დარეჯნის სქესთაგანი, რომელმაც ყველაზე პირველ თანაუგრძნო წარმოდგენის სისრულეში მოყვანას?

თუ ბ. ზ. ბ—ლი ყველას მართალს ლაპარაკობს: სკოლასაც ფულები გაუგზავნა, დეპუტატის ხელით, ფოშტის ბარათიც აქვს და რომ სტუდენტს თოფურიას ფულები გაუგზავნა, რატომ „დროებაში“ ანგარიშს არ აბეჭდვინებს, როგორც საზოგადოდ რიგი და წესია ამ გვარი საქმეებისა?

მიკვირს და გამკვირვებია! ეს კურთხეული-შვილები, რომ თავი გამოიჩინონ წინაშე საზოგადოებისა, ეკობსიალებიან ამ გვარ საქმეებს და ბოლოს თავს კი ველარ ართმევენ ხოლმე, რასაკვირველია, „სხვა და სხვა მიზეზებისა გამო“.....

ეხლა ჭეშმარიტსაც მოგახსენებთ: სკოლას სამოც-და-ათი მანეთი კი არა სამი ბისტიც არ მიუღია. ხშირათ მივდიოდი ჩვენს სკოლაში და ვკითხავდი ხოლმე ბ. სკოლის ზედამხედველს: სკოლისთვის რომ ფულები იყო დანიშნული, მიიღეთ თუ არამეთქი? და ბ. ზედამხედველი მუდამ ამას მეუბნება: „როგორც თქვენ არ მიგიღიათ ის ფულები, აგრეთვე სკოლას“.

ეხლა უმორჩილესად ვსთხოვ ბ. ბე—ს, თუმც შეიძლებოდეს, ჩვენი ნაშრომი და ნაოფლარი ფულების წმინდა ანგარიში მოგვცეს, რასაკვირველია, საბუთების წარმოდგენით, გაზ. „დროებაში“. თუ ბ. ბე—ლმა ანგარიში არ მოგვცა იმ შემთხვევაში ნება გვექნება, ამას წინეთ ახალ-სენაკიდგან ეჭვნეულათ ნაწერ კორრესპონდენციას, შესახებ ამ საქმისა, არამც თუ ეჭვნეული, პირდაპირი მნიშვნელობა მივსცეთ, წინაშე საზოგადოებისა და დავარწმუნოთ ყველა იმ ფულების ჩაკვრეხაში.

სკოლის ფულის შექმა მით უფრო სამწუხაროა, რომ წარმომდგენლების გარდაწყვეტილებით, ამ ფულით პატარა ქართული ბიბლიოთეკა უნდა გაემართათ ხსენებულს სასწავლებელში.

ქართული სცენის მოყვარეთაგანი.

ახალ-სენაკი, 10 ივნისს.

# უცხოეთი

ინგლისი. ფრანცუზებისა და იტალიელების შეტაკების თაობაზედ ქ. მარსელში, ლორდ ლაიონსმა გამოაცხადა ინგლისის პალატაში, რომ ამ მოკლე ხანში მოხსენდება მას ყველა საჭირო ცნობები ამ საქმის შესახებ.

— ქვემო პალატის დეპუტატმა რაილანდმა განკიცხა მმართებლობა ინგლისისა და ოსმალეთს შუა შეკრულ პირობის თაობაზედ, რომელთაც ინგლისმა მისცა ცუდი მაგალითი და რომელსაც მიჰბაძა საფრანგეთმა თუნისის საქმეებშიო. დილკმა გამოაცხადა ამის შესახებ, რომ ეხლანდელ მთავრობას არ ჰქონია მიწერ-მოწერა პორტასთან ოსმალეთსა და ინგლისს შორის დადგენილ პირობაზე. ამ პირობის ძალით, ჩვენ დიდი მოვალეობა გვაძევს, მაგრამ არ შეიძლება ეგრე ჩქარა უარ-ჰყოს კაცმა ის, რადგანაც ამას ექნება ცუდი შედეგი აღმოსავლეთის საქმეებისათვის. გლადსტონმა შენიშნა, რომ ინგლისი არ იღებს თავის თავზედ მოვალეობას გამოაცხადოს თავის აზრი საფრანგეთის მოქმედებაზედ თუნისში; ეს მოქმედება რომ საშიში ყოფილიყო საზოგადო მშვიდობიანობისათვის ანუ დამარღვეველი სახელმწიფო უფლებისა, იმ შემთხვევაშიც ინგლისის წინააღმდეგობას არ ექნებოდა არავითარი ძალა ინგლისს და ოსმალეთს შუა დადგენილ პირობის მიზეზობით. შეიძლება კაცმა მწუხარება გამოაცხადოს საფრანგეთის მოქმედებაზედ თუნისში, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთი დამნაშავეა ხალხთა შორის უფლებათა დარღვევაში, რადგა-

---

ელგუჯას აწუხებდა იმისი მდგომარეობა. უნდოდა დასამშვიდებელი სიტყვა ეთქვა, მაგრამ ენა არ იცოდა და თუნდა სცოდნოდა კიდეც, ძნელათ შეეძლო იმას სიტყვის წარმოთქმა. არის ხოლმე ისეთი მდგომარეობა კაცის ცხოვრებაში, როდესაც გრძნობ, იტანჯები, გინდა წარმოსთქვა რამე, მაგრამ ენა აღარ გემორჩილება და სიტყვები ველარ გიპოვნია. სწორეთ ამ გვარს მდგომარეობაში იყო ელგუჯა.

ბოლოს, როგორც იყო, გონს მოვიდა, გაამაგრა კედელში „ჩირაღი“ (კვარი) კედელში, უჩვენა იქვე დალაგებულს საბან-გობანზედ და ანიშნა იმათი გაშლა. კიდევ ცოტა ხანს დარჩა, შეხედა, ამოიოხრა და გამობრუნდა. კარებთან რომ მოვიდა, ერთი კიდევ მიიხედა, დაინახა, რომ ქალის თვალები ელგუჯასაკენ არიან მოქცეული და ისეთის სახით უყურებენ, თითქოს იმათაც უგრძნიათ ელგუჯას გულის მოძრაობა და ისინიც თანაუგრძნობენ, მადლობას ეუბნებიან...

ელგუჯამ ველარ მოითმინა, გადახტა და გულში ჩაიკრა ქალი, რომელიც შეშინებული და აღელვებული, რაღაცა გამოუცდელის გრძნობისაგან დამონებული, ძალზედ ეკვროდა მკერდზედ.

ამ წუთებში გამოიხატებოდა წადილი, შიში, სიყვარული, ბრძოლა აღძრულ გრძნობასთან, მაგრამ იმათგან ვერც ერთი-კი ვერ გეტყოდათ-რა მოზდით, რასა შვრებიან, ან ასე რათ იქცევიან და სხვა რიგათ არა.

ღმერთმა იცის, დიდხანს გაგრძელდებოდა ეს იმათთვის სანატრი წამები, ან სადამდის მიაღწევდა, თუ ისინი ამ თავის დავიწყებიდამ არ გამოეყვანა ხმაურობას, რომელიც მოისმა სასტუმროს კარებიდგან.

ელგუჯამ უკანასკნელათ მოუჭირა მკლავები, აღგზნებულათ აკოცა, გამოვარდა გარეთ მთვრალსავით, გიჟსავით და გულის ძგერით მიწვა კარებთან.

ეზოში გამოსულიყო ზაგი და განკარგულებას აძლევდა ბიჭებს, რომ სტუმარს რიგიანათ დახვედროდნენ.

რაკი ბიჭები გაგზავნ-გამოგზავნა, სახლის პატრონმა გამოსწია იმ „საწოლისკენ,“ სადაც ტყვე იყო დამწყვდეული. მახამეთამ იმას იმდენი მშვენიერება უანბო ამ ქალისა, იმდენ გამტაცებელ სურათებით დაუხატა იმის მიხვრა-მოხვრა, იმის ტუჩები, თვალები, თმები, რომ ზაგი სრულებით დაიბნა და ათასმა უპატიოსნო აზრებმა შეიპყრეს იმის გარყვნილი გული... ზაგიმ ველარ მოითმინა გათენებამდინ და იმ ღამესვე უნდოდა დამტკბარიყო ჩერქეზის ქალის მშვენიერებით.

მივიდა იმ ადგილამდის, სადაც ელგუჯა იწვა, შესდგა ცოტა ხანს და ყური დაუგდო. ელგუჯა ხვრინავდა, თუმც ძილი არც-კი მიჰკარებოდა. ამან გაამხნევა ზაგი; წყნარად გადააბიჯა ელგუჯას, შეაღო კარები და შევიდა საწოლ ოთახში. რამწამ კარი მოიხურა, ელგუჯა ფეხზედ წამოვარდა და გაშმაგებულის თვალებით დაუწყო სარკმლიდგან ყურება.

ქალმა დაინახა თუ არა უცხო კაცი შესული, ცახცახით კედელს მიეკრა, ზაგიმ-კი რამწამს შეხედა, მაშინათვე შეიპყრო პირუტყულმა გრძნობამ და ჩასისხლიანებულის თვალებით გასწია ქალისაკენ.

ქალს შეეშინდა, შეჰყვირა და უფრო მიიკუნჭა კედლისაკენ, ელგუჯას თვალები აენთო, გული აემღვრია, წაავლო ხანჯალს მთრთოლარე ხელი და მრისხანებით უყურებდა. კიდევ ერთი წუთი და გულმა ველარ გაუძლო და გიჟივით შევარდა.

— ვინაა აქა? რაი ყვირილია? წამოსთქვა იმან ისე, თითქოს ქალის ყვირილზედ გეღვიძაო.

ზაგი შეკრთა. ის თავის გუნებაში ათას რიგათა ლანძღამდა ელგუჯას, რომელმაც დაუშალა ასეთს დროს და დაუპატიჟებლათ შემოვარდა. მაგრამ სირცხვილისაგან ველარა მოახერხა-რა და მხოლოთ ეს-ღა უთხრა:

— არც ვინა! მე ვარ, მე! კარის დასათვალიერებლათ მოვედით... მერე გაიფიქრა: „დღეს თუ არა, ხვალ ხომ ჩემი იქნება.“ და გამოუბრუნდა ელგუჯას:

— ახლა-კი წავიდეთ, დავწვეთ. კარებს კლიტი დაადე, ისიც ეყოფა...

ა. მოჩხუბარიძე.

(გაგრძელება)

ნაც მას არაოდეს არ სწამდა ოსმალეთის მფარველობა თუნისზედ.

—

**წვრილი ამბები.** სამხრეთ თუნისში მოელიან აჯანყებას. იტალიის მინისტრი მანჩინი ურჩევს ბოლგარიელებს ყოველის ღონისძიებით დაიცვან თავის კონსტიტუცია და თავისუფლება.

— პარიჟში დიდი მზადებაა ამ ჟამად, რომ რაც შეიძლება მხიარულად და მშვენიერად გარდაიხადონ მომავალი 2 (14) ივლისის დღესასწაული, ის დღე, რომელიც საფრანგეთის რესპუბლიკის დღესასწაულად ითვლება. ჟამისიის პრეზიდენტის ბატტისათვის მიუნდვიათ ამ საქმის შესახებ პარიჟის ქალაქის რჩევა'ში მოხსენება შეიტანოს. ეს რჩევა გადადებს ამ დღესასწაულისათვის სამას ათას ფრანკს, ამდენსაც მისცემს ხაზინა. ტიულიერ'ში, „თანხმობის“ მეიდანზედ და „ელისეის მინდვრებში“ იქმნება მშვენიერი ჩირაღდანი, როგორიც იყო 1878 წ.—ბულონის ტყემდის. პარიჟის რამოდენიმე ალაგას იქნება გაშვებული მაშხალა. ქველა უბნებს მიეცემა ფულით შემწეობა, რომ ეს დღე ყველგან საქებრად იდღესასწაულონ. ჯარის დახედვა იქნება ვენსენის მინდორზე. ჰიპოდრომში დღით იქნება მშვენიერი წარმოდგენა, თან სადილი ქალაქის სკოლების ექვსიათას შაგირდისათვის.

— მარსელიდამ იქერებიან, რომ იქიდამ გასულა ექვს-ასი მეტი იტალიელი.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

**ორშაბათს.** გავრანსკი — ქიმი ბებიაობისა და ქალების ავათმყოფობისა; გორალევიჩი და ლისიცოვი—შიგნაგან ავათმყოფობისა; როტინიანცი—ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა, ბაბაევი სისუსტის და შინაგან ავათმყობისა; შტემბორსკი გენერიულ და ტყავის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—სირურგიული ავათმყოფ.; რეიხი — თვალების ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; შეტროვსკი—გენერიულ ავათმყოფობისა,

**ოთხშაბათს.** კრასნოგორიადოვი და ლისიცოვი შინაგან ავათმყოფობისა; ქიუნარიანცი და შტემბორსკი—რიფილიტიკური და ტყავის ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათი** გავრონსკი—ბებიაობისა და ქალების ავათმყოფ.; როტინიანცი—ქალებისა და ყმაწვილების ავათმყო.; ბაბაევი მარღვების სისუსტისა და ელექტრო-ტერაპიისა ლისიცოვი და შეტროვსკი შინაგან ავათმყოფობისა; ქიუნარიანცი 1-ლი სიფილისტიკური ავათმყოფობის.

**პარასკევს.** მინკევიჩი—სირურგიულ ავათმყოფობის; ბახუტოვი—ბებიაობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; კრასნოგლიადოვი, ლისიცოვი და ვერმიშოვი—შინაგან ავათმყოფობისა; შტემბორსკი — გენერიულ და ტყავის ავათმყოფობისა.

**შაბათი.** ლისიცოვი — შინაგან ავათმყოფობის. რეიხი—თვალების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარღვების სისუსტისა და შინაგან ავათმყოფობის; ქიუნარიანცი 2-რე—ქალებისა და შინაგან ავათმყოფობისა.

ობრეხტი — კბილის ავათმყოფებს, მიიღებს თავის სახლში მუდამ დროს რდაიბებს საავათმყოფოს ბარათებით.

# განცხადებანი

## ინგლისის მაღაზიაში

**მოსახურავი** 4 მანე., ნასოსები 1 მ., დასაკეც სკამები 2 მ., სკამიანი ჯოხი 4 მ., კრავატიანი კრესლო 10 მ. დაწყებული, ფილტრები 4 მ., ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 25 კაპ. და 30 კაპ:, ლეპიოშკები და პასტილა თამბაქოს მხმარებლებისათვის 60 კაპ. ინგლისური ვანნები და სხვა. (20—7)

## ჩარკვიანის და ამხ.

# წიგნის მაღაზია

გადავიდა თ. მუხრანსკის სახლებში, ატამანის ქუჩაზე, საქართველოს გოსტინიცის პირდა-პირ **№ 15.** ა—5

## ტაქსია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 15 დღის განმავლობაში, 16 ივნისიდამ 1 ივლისამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 4½ |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 7 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5½ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 10 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 8 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 11 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 14 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 12 კ. |

ეს ტაქსია არ შეეხება სოფლის მწარმოებლებს, რომელთაც თფილისის ბაზრებში და მაიდნებზე მოაქვსთ ხორაგი გასასყიდლად.

## ისყიდება ინგლისის მაღაზიაში

30%-ზე უფრო იაფად, ვიდრე სადმე სხვაგან: მურაბა, კაკაო, ბრინჯი, ჭურჭლეულობა, ბაკლები, ტაშტები, პირის დასაბანები, ჩაინიკები, სტაქნები, პადნოსები, კლიტეები, დანები, კოვზები, კალმები, ქაღალდი, კარანდაშები, რვეულები, თოფები, რევოლვერები, ალბომები, კრაოტები, ტანსაცმელი, ტრიკო, პარუსინა, ცხვირ-სახოცები, პირსახოცები, კლეონკა, კაცის და ქალის წინდები, უნაგრები, პორტვეინი, ხერესი, კონიაკი და სხვ. ჩაი პარტიებით ვაჭრებს ფუთობით 44, 46, 48, 50, 52, 54 და სხვ..

იქვე იაფად: შერბეთი, მაგნეზია და წუურვილისაგან ლეპიოშკები, ციებისაგან ქინაქინას ღვინო, კარბოლის პარაშოკი, საპონი და წამლები ეპიდემიისგან დაცვისა, მედიკური ქაღალდი ფეხის-ალაგებისათვის, სპარსეთის პარაშოკი და სხვ. (15—9)

## ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ქიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—90)

## ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეიაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—8)

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** სააგენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი.

გირვანქა აროմატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხველების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—73)

## ინგლისის მაღაზიაში

თმის ამყვანი



მაკ-მასტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ. (150—108)

**მოსახურავი** 4 მანეთად, ნასოსები 1 მან., დასაკეცი სკამები 2 მან., სკამიანი ჯოხი 4 მან., კრავატიანი კრესლო 10 მან. დაწყებული, ფილტრები 4 მან. ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 30 კაპ. თითო, ინგლისური ვანნები და სხვ. **ინგლისის მაღაზიაში.**

10,000 რწყვილი ქალის წინდები 25 კაპ. დაწყებული 75 კაპ.-დისინ, 10,000 რწყვ. კაცის წინდები 35 კაპ. 1 მან.-დისინ, 7,000 პადნოსები 5 კაპ.—5 მან.-დისინ., 1,000 კრავატები 5—35 მან.-დისინ, 400 არშინი ბომაზეი 1 მ.--1 მან. და 30 კაპ.-დისინ, 800 არშ. პარუსინა 40 კაპ.—1 მ.-დისინ 300 რევოლვერი 4 მ.—35 მ.-დისინ, 200 ალბომი ნახევარ ფასად. 10,000 გირვანქა მშვენიერი ჩაი თავის ჩაინიკებით 1 მ.—65 კაპ., რკინის კალმები ყველა გვარ ხელისათვის. (15—8)

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი შოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შჩოტკებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩევინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდების ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭკავანას იგარები. (100—88)

Дозволено цензурою· Тифлисъ, 19 Іюня 1881 г· Типографія С· Меликова· გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი